განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სახელოვნებათმცოდნეო კვლევები

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღი: 23.02.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20381545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები პროგრამული კონცენტრაციები: შუა საუკუნეების ხელოვნება ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება
განათლებისსაფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი 1007
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 2013 წ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა დოლიძე სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვეფხვაძე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ჟუჟუნაძე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მდებარეობს ქ. თბილისში (გრიბოედოვის ქ. N 22, 0108, თბილისი, საქართველო). სწავლების ენა ქართულია. სადოქტორო პროგრამა „სახელოვნებათმცოდნეო კვლევები პროგრამული კონცენტრაციებით: შუა საუკუნეების ხელოვნებადა ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება“ - წარმოადგენს ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის მკვლვარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების მომზადებაზე ორიენტირებულ პროგრამას, რომლის მთავარი პრიორიტეტია ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევა და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნა. თითოეულ პროგრამულ კონცენტრაციაზე კონკრეტული კვლევითი პრობლემატიკით და,, ამავდროულად, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიის, კვლევის თანამედროვე მეთოდების სპეციფიკისა და პრინციპების ერთიანი სისტემით. სადოქტორო პროგრამის ძლიერიმხარეა საკვლევი თემატიკის აქტუალობა, მნიშვნელობა დაქართული ხელოვნებისმსოფლიო ხელოვნების ფართო კონტექსტში კვლევა. პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 13 თებერვლის #100 ბრძანების (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2018 წლის 23 თებერვალს. ვიზიტის წინა დღეს, 22 თებერვალს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 14.00 საათზე და 17.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა მომდევნო დღეს, ინტერვიუების პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დასადგენად.
23 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში 09.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა თსსა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტურის სტუდენტებთან, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კაბინეტები და ა.შ). სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დიალოგისა და კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის ბოლოს თსსა ადმინისტრაციის, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიურ პერსონალის წარმომადგენლებს გავაცანით ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, თუმცა, მიზანშეწონილია მათი დაკონკრეტება. თსსა ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო ბაზარზე მოთხოვნადი შესაბამისი დარგის სამეცნიერო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური კადრების მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმებისათვის.

თსსა სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო თუ კვლევითი პროცესების დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობისთვის. აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. სადოქტორო პროგრამას ჰყავს თავისი კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა დახმარებას და მხარდაჭერას სწავლის პერიოდში.

თსსა ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე. ამავე დროს, სასურველია პროგრამის მესვეურთა მეტი აქტიურობა მომავალი დოქტორების განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების კუთხით. დაწესებულებას გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით, რომელიც შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ფაკულტეტისა და აკადემიის ადმინისტრაცია.

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარებისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო მობილობის მიმართულებით. უნივერსიტეტს, მემორანდუმების და ინტერვიუების მიხედვით, ჰყავს ბევრი ევროპელი პარტნიორი ორგანიზაცია, მათთან ერთად შეიძლება დაიგეგმოს, მაგ., Credit Mobility-ების განხორციელება, რაც გაზრდის პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დასაქმების ინტერნაციონალიზაციას. მემორანდუმების ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტს შეუძლია ერთობლივი პროგრამების განხორციელება. მით უმეტეს, რომ პროგრამას საჯარო ლექციებით ისედაც არაერთი საზღვარგარეთელი სპეციალისტი ჩამოსდის ხოლმე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობის არეალი მოიცავს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს, საგანმანთლებლო დაწესებულებებს, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს, როგორიცაა მუზეუმი, გალერეა, კულტურის ცენტრი ან საჯარო სამსახური. სასურველია აღნიშნული არეალის გაზრდა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს პოტენციურ დამსაქმებლად მოაზრება. ამასთან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტთა საცავში დაცული საარქივო და უახლესი ფოტო, საპროექტო, კვლევითი და სხვა სახის დოკუმენტაცია გაამდიდრებს სტუდენტების სასწავლო-კვლევით რესურსს;

  - საჭიროა პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მეტად დაკონკრეტება დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის სამაგისტრო დიპლომის მოთხოვნით ან/და სპეციალური გამოცდა/ტესტირების საშუალებით;

  - დოქტორანტურაში მიღების პირობებით აუცილებელ მოთხოვნად განსაზღვრულია 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც ხელს უწყობს მომავალ დოქტორანტს საკვლევი თემის ზუსტ გასნაზღვრასა და კვლევის პროცესისათვის მომზადებაში. მაგრამ ამავდროულად, ბარიერს უქმნის სწავლის გაგრძელების მსურველებს, რომელთაც მაგისტრატურის საფეხური გაიარეს (სამუშაო გამოცდილება კი მოთხოვნილ სამ წელზე ნაკლებია) და აქვთ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძლების მზაობა. მით უფრო, რომ არ არის დაკონკრეტებული მაგისტრის კვალიფიკაცია. შესაძლებელია აუცილებელი სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობის შემცირება არაუმცირეს 1 წლისა;

  - სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის სასურველია შეიქმნას არჩევითი საგნების შეთავაზების შესაძლებლობა სავალდებულო საგნების ბლოკის კორექტირებით (მაგ.; საგნების - „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“ და

„პედაგოგიური პრაქტიკა“) და გამოთავისუფლებული კრედიტების არჩევითი საგნებისათვის გამოყენების მიზნით;

- ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება პედაგოგების მიერ მიწოდებული ელექტრონული რესურსების განთავსება მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;

- პროგრამას მომავალი განვითრებისთვის რეალურად გააჩნია ძალიან დიდი ადამიანური პოტენციალი. სტუდენტები დამოუკიდებულად მოიძიებენ და ახორციელებენ საინტერესო გრანტებს, რომლის შედეგებიც უნივერსიტეტმა შესაძლებელია გამოიყენოს პროგრამის პოპულარიზაციისთვის. მაგ.; წიგნის გამოცემა და სხვ. პროგრამას გააჩნია სხვადასხვა მიმართულება, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სწორად შერჩეული მარკეტინგული ნაბიჯების საშუალებით შესაძლებელია გახდეს პროგრამის განვითარების ახალი შესაძლებლობა და დამატებითი დაფინანსების წყარო.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- თსსა სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრულია დოქტორანტის ვალდებულება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ დადგენილ ვადაში გამოსცეს ნაშრომი მონოგრაფიად. თსსა აფინანსებს დაკაბადონების თანხას და 50 %-ით წიგნად გამოცემას (რესტავრაციის, ხელონების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს გადწყვეტილება. ოქმი #5. 16.12.2011). მონოგრაფიები იბეჭდება თსსა სამეცნიერო კვლევების გრიფით, რაც ზრდის სამეცნიერო მიმოქცევაში უახლეს ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე წვდომის შესაძლებლობას როგორც სტუდენტებისთვის, ისე მკვლვარებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის. ფაკულტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომების გამოცემათა დაფინანსება უდაოვოდ უნდა ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად;

- თსსა სადოქტორო პროგრამების ფინანსური მენეჯმენტის ერთიანი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები იხდიან მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით ასევე მნიშვნელოვანია და საუკეთესო პრაქტიკად უნდა იქნეს მიჩნეული.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა - „სახელოვნებათმცოდნეო კვლევები პროგრამული კონცენტრაციებით: შუა საუკუნეების ხელოვნება, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება“ - ორიენტირებულია ქართული ხელოვნების მსოფლიო კონტექსტში გააზრებასა და კვლევაზე, ინტერდისციპლინურ მიდგომაზე, ქართული ხელოვნების

მკვლევარების აღზრდასა და უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის პედაგოთა მომზადებაზე.

2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ სადოქტორო პროგრამამ განიცადა რიგი ცვლილებები. კერძოდ, სასწავლო კომპონენტი შეადგენდა 50 ECTS და კვლევითი - 130 ECTS. ეს თანაფარდობა სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილია: სასწავლო კომპონენტი - 60 ECTS და კვლევითი - 120 ECTS. გაზრდილია საფაკულტეტო საგნების და პედაგოგიური პრაქტიკის კრედიტები. მრავალფეროვანია ინტედისციპლინური სემინარების ბლოკი. სპეციალობის სემინარებთან ერთად სავალდებულოა ინტერდისციპლინური სემინარის გავლა დოქტორანტის სამეცნიერო და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით და შერჩეული თემატიკის მიხედვით. სადოქტორო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში.

პროგრამის თავისებურებას წარმოადგენს დებულებით გაწერილი რეგულაცია, რომლის თანახმად ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ, დოქტორანტს შეუძლია იგი მონოგრაფიად/წიგნად გამოსცეს. ამით მდიდრდება და ფართოდ ხელმისაწვდომი ხდება ქართულენოვანი სახელოვნებათცოდნეო ლიტერატურა. ნაშრომის წიგნად გამოცემისთვის დოქტორანტი აგრძელებს მუშაობას მის სხვა ფორმატში გადასატანად, კვლევა გადის სამეცნიერო რედაქტირებას, თსსა ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ავტორს და ნაწილობრივ აფინანსებს სამეცნიერო მონოგრაფიის/წიგნის გამოცემის ხარჯებს.

სადოქტორო პროგრამის დადებითი მხარეა თსსა მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს უნიკალურ წიგნად ფონდებს, მათ შორის შექმნილს მიზანმიმართულად რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტისთვის უცხოელი პარტნიორების დახმარებით (მაგ., ჯ. კეგლის კაბინეტი), მეორე მხრივ, ბიბლიოთეკა ჩართულია პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - elFL“ და წვდომა აქვს ისეთ ელექტრონულ რესურსებზე როგორიცაა Grove Art Online, Cambridge Journals Online და სხვა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა „სახელოვნებათმცოდნეო კვლევები პროგრამული კონცენტრაციებით: შუა საუკუნეების ხელოვნება, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIX-XXI სს. ქართული ხელოვნება“ - წარმოადგენს ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის მკვლვარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების მომზადებაზე ორიენტირებულ პროგრამას. სადოქტორო პროგრამის მიზანია: - *„ქართული ხელოვნების მოვლენათა მსოფლიო ხელოვნების ფართო კონტექსტში კვლევა;* - *სხვადასხვა დროის ქართული ხელოვნების ტენდენციებისა და ისტორიული საფეხურების შესწავლა, მათი კრიტიკული ანალიზი, სხვადასხვა კულტურული წრის შემოქმედებასთან მიმართებების გარკვევა და, შესაბამისად, ქართული ხელოვნების ნაწარმოებების მნიშვნელობის წარმოჩენა;* - *არსებული სამეცნიერო სპეციფიკური მეთოდების კრიტიკული გააზრება, ინოვაციური მიდგომების შემოტანა თვისობრივად ახალი ცოდნის შესაქმნელად;* - *დღევანდელობის მიერ წამოჭრილი კვლევითი პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების და სხვა;* - *ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული მეცნიერ-მკვლევარისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგის მომზადება, რომელიც დაგროვილ ცოდნას მომავალ თაობებს გადასცემს“.* სადოქტორო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია თსსა მისიასთან, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევა და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნა წარმოადგენს. *პროგრამის ამოცანები:* - *„თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტმა დოქტორანტს შეუქმნას სათანადო პირობები კვლევების განსახორციელებლად;* - *ხელი შეუწყოს დოქტორანტს მეცნიერის და მკვლევარის, ასევე, პედაგოგის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;* - *ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური ხელოვნებათმცოდნისათვის დამახასიათებელი ჰუმანიტარული, ანალიტიკური აზროვნების უნარის*

ჩამოსაყალიბებაში“.

საკვლევი თემატიკა „მოიცავს სხვადასხვა ეპოქის ქართული ხელოვნების ყველა დარგის - არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების - ნიმუშთა, შემოქმედთა, მხატვრულ მიმდინარეობათა ისტორიისა და თეორიის აქტუალურ პრობლემებს.“

პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და საკვლევი თემატიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის სწავლებისა და კვლევის კომპონენტების განხორციელებას, და შესაბამისად, ახალი ცოდნის შექმნას განაპირობებს შემდეგი მიმართულებები:

- **სამეცნიერო-კვლევითი სეგმენტი** *(„ხელოვნების ისტორიის კვლევის თანამდროვე მეთოდები“, „შუა საუკუნეების ხელოვნება“ და „ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება“* - ქართული ხელოვნების სრული ქრონოლოგიური და დარგობრივ-სახეობრივი სპექტრით; არჩევითი ინტერდისციპლინური სემინარები - *„თანამედროვე ინფორმაციული კულტურა“, „ქართული კულტურის იდენტობები“, „რესტავრაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“);*
- **პედაგოგიური სეგმენტი** *(„უმაღლესი პედაგოგიკა“, „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“, „პედაგოგიური პრაქტიკა);*

სადოქტორო პროგრამის მიზნები მიღწევადია. პროგრამით გათავლისწინებული კველვითი და პედაგოგიური მიმართულებების ინტეგრაცია ორიენტირებულია შედეგზე და ზრდის კურსდამთვარებულთა დასაქმების არეალს და შესაძლებლობებს ბაზრზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტრო პროგრამა
- სადოქტრო პროგრამის თვითშეფასება
- სილაბუსები
- შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა „სახელოვნებათმცოდნეო კვლევები“ შედგება ორი კონცენტრაციისგან: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება და ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება. თითოეული კონცენტრაცია მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე ნაწილდება პინციპით: სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი (საფაკულტეტო საგნები - 20 კრედიტი, სავალდებულო და არჩევითი სემინარები - 30 კრედიტი, პედაგოგიური პრაქტიკა 10 კრედიტი); კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი (კოლოკვიუმები - 20 კრედიტი, კვლევითი ნაშრომი - 100 კრედიტი).
საფაკულტეტო საგნები (ხელოვნების ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები, შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, უმაღლესი განათლების მენეჯმენტი) 5 კრედიტიანია, ორი სემინარი სპეციალობაში - 10-10 კრედიტი და ერთი ინტერდისციპლინური სემინარი - 10 კრედიტი, პედაგოგიური პრაქტიკა - 10 კრედიტი.
პროგრამით არ არის გათვალსიწინებული არჩევითი საგნები, რაზეც ყურადღება გაამახვილეს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმაც (მაგ. შუა საუკუნეების ხელოვნების კონცენტრაციაზე - პალეოგრაფიის საგნის შემოტანის საჭიროება; აკადემიური პერსონალის განცხადებით, ისინი მუშაობენ ხელოვნების თეორიის კურსის მომზადებაზე, რომელიც ასევე შეიძლება დაემატოს არჩევითი საგნების ბლოკს.
პედაგოგიური პარაქტიკის კურსი მოიცავს უმაღლესი განათლების მენეჯმენტის კურსში ასახულ მსგავს კომპონენტებს (სილაბუსების შედგენა-მომზადება, ლიტერატურა). შესაძლებელია პედაგოგიურ პრაქტიკას განესაზღვროს 5 კრედტი და ამის ხარჯზე დაემატოს არჩევითი საგანი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის შემდგომ განვითრებას.
სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის უზრუნველყოფას გენერალიზებული სალექციო კურსებით, სემინარული მუშაობით სპეციალობაში და ინტერდისციპლინარული არჩევითი სემინარებით. კვლევითი კომპონენტი - სადისერტაციო თემაზე მუშაობას, კოლოკვიუმებს, პუბლიკაციებისა და საკონფერენციო მოხსენებების მომზადებას. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება იწყება სასწავლო კომპონენტის პარალელურად, წინასწარშემუშავებული ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.
სასწავლო პროცესი შედგება სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობისაგან. სააუდიტორიო სწავლების დროს უპირატესობა ენიჭება სემინარულ და პრაქტიკულ მუშაობას. დამოუკიდებელი მუშაობისთვის უზრუნველყოფილია საათების მეტი რაოდენობა.
პროგრამის კონცენტრაციების მიხედვით ისაზღვრება სავალდებულო სემინარები.

თითოეული კონცენტრაცია კი, თავის მხრივ, შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ერთიანია, გამართული, სასწავლო კურსები, სემინარები, კვლევითი კომპონენტი (კოლოკვიუმები, ნაშრომი) შინარსობრივად ურთიერთკავშირშია და ავსებს ერთმანეთს. კრედიტების მოცულობა, ისევე როგორც, სწავლების მეთოდები ორიენტირებულია პროგრამის დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე, ფართო სახელოვნებათმცოდნეო კომპეტენციასთან ერთად, დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავებაზე, კვლევის უნარების გამომუშავებასა და ინტედისციპლინური კვლევის მეთოდების გამოყენებაზე. ამასთან, დოქტორანტი ეუფლება ცოდნის გადაცემისა და განათლების მართვის პრინციპებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სადოქტრო პროგრამა - სადოქტრო პროგრამის თვითშეფასება - სილაბუსები - შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის სასურველია შეიქმნას არჩევითი საგნების შეთავაზების შესაძლებლობა სავალდებულო საგნების ბლოკის კორექტირებით და გამოთავისუფლებული კრედიტების არჩევითი საგნებისთვის გამოყენების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ECTS-ისისტემით, 1 ECTS - 25 აკად/სთ. და გულისხმობს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებსაც. პროგრამა გრძელდება 3-5 წელი და 180 კრედიტიანია. სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება: "ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის" აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა იძლევა საშუალებას დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის შესაბამისად. კერძოდ, სწავლის მეთოდები ძირითადად ემთხვევა მიღებულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შემდეგი კომპეტენციების გამომუმუშავებას:

„ცოდნადაგაცნობიერება

- *დოქტორანტს აქვს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც ემყარება მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და მონაპოვრებს;*
- *დოქტორანტი კარგად იცნობს ქართული ხელოვნების ისტორიის საკვლევ პრობლემატიკას დააცნობიერებს მისი გადაჭრის სამეცნიერო მიდგომებსა და მეთოდებს;*
- *დოქტორანტი კარგად იცნობს მსოფლიო ხელოვნების ისტორიას და აქვს ქართული მასალის მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კონტექსტში გააზრების უნარი;*
- *დოქტორანტს აქვს უნარი ქართული ხელოვნების გააზრებისა ფართო ისტორიულ, სოციალურ თუპოლიტიკურ ჭრილში;*
- *საფუძვლიანად არის დაუფლებული როგორც სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდოლოგიას; ასევე, თანამედროვე ინტერდისციპლინერ კვლევით მეთოდებს.*
- *აქვს დარგში არსებული ცოდნის გააზრების და გადაფასების უნარი, რაც საშუალებას აძლევს გააფართოოს განახლებული ცოდნის ფარგლები;*
- *კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს.*

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- *დოქტორანტს შეუძლია სამეცნიერო გამოკვლევის მეშვეობით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემატიკის*

გადაწყვეტაში და ცოდნის საზღვრების გაფართოება;

- *დოქტორანტს შეუძლია დარგის სპეციფიკური როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კვლევითი მეთოდების გამოყენება თვისობრივად ახალი ცოდნის შესაქმნელად;*
- *დოქტორანტს შეუძლია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშაოს კვლევისა და ანალიზის ინოვაციური მეთოდები; დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა ამ მეთოდების გამოყენებით ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ხასიათის მქონე თეორიულ-კვლევითი შედეგის მისაღწევად; განვითარებული აქვს კვლევის ახლებური (ინტერდისციპლინური) მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების უნარი, რაც თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების დაცვით შემუშავებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში აისახება;*
- *დოქტორანტს შეუძლია ახალი ცოდნის ტრანსფორმირება სასწავლო პროცესის შესაბამისად, მისი გამოყენება და გადაცემა სწავლებისას შესაბამისი მეთოდების შერჩევისა და პრაქტიკულად გამოყენების გზით.*

დასკვნის უნარი

- *დოქტორანტს შეუძლია ახალი იდეების გენერირება წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით;*
- *შეუძლია ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, ამ მიდგომების შეფასებისადა სინთეზის თაობაზე არგუმენტირებული და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, რაც ახალი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის საფუძველს წარმოადგენს;*
- *დოქტორანტს შეუძლია სხვადასხვა მეთოდით კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა;*

კომუნიკაციის უნარი

- *დოქტორანტს შეუძლია შეუზღუდავი კომუნიკაცია როგორც ჰუმანიტარული სფეროს სამეცნიერო წრეებთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან მათთვის ინფორმაციის ამომწურავად გადაცემის მიზნით, მათ შორის უცხო ენაზე;*
- *მას შეუძლია სამეცნიერო დისკუსიის წარმართვა კვლევის შედეგების, ახალი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენის მიზნით;*

სწავლის უნარი

- *დოქტორანტს შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მისი წარმართვა მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით;*
- *დოქტორანტს შეუძლია განავითაროს სასწავლო პროცესი ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ორიგინალური იდეების მეშვეობით, დანერგოს ისინი კვლევით საქმიანობაში;*

ღირებულებები

- *დოქტორანტი აცნობიერებს ტრადიციული სამეცნიერო ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას იკვლევს თანამედროვე სამყაროში ახალი ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს და გზებს და შეიმუშავებს მათი დამკვიდრების ორიგინალურ მეთოდებს.*

პროგრამის კომპონენტების, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის ძირითადი შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობაში მცირე გადანაცვლება სავალდებულო საგნების ბლოკის კორექტირებით და არჩევითი საგნების შემოტანით კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დასახული მიზნის („მოამზადოს ხელოვნების ისტორიკოსები ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ სახელოვნებათმცოდნეო კვლევის ჩატარებას მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და უახლესი ინტერდისციპინარული მეთოდების გამოყენებით“) მისაღწევად შესაბამისი კომპეტენციის შეძენას. სადოქტორო პროგრამა მოქმედია, შესაბამისად, არსებობს შესრულებული სადისერტაციო ნაშრომები. ვიზიტის დროს გავეცანით ნაშრომებს: თ. ტაბატაძე, არტისტული კაფე ქიმერიონი და მისი მოხატულობა ტფილისი,1919 წელი. 2009 წ. ნ. რამიშვილი, ეროვნული ფორმის ძიების პრობლემა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ფერწერაში. 2010 წ. ნ. წულუკიძე. უახლესი ქართული კონცეპტუალური ხელოვნება, მხატვრობისა და ფოტოგრაფიის სინთეზი, 2010 წ. თ. შავგულიძე. მეოცე საუკუნის ქართული ქანდაკება (ფორმისა და ფუნქციის ტრანსფორმაცია). 2015 წ. აღნიშნული ნაშრომები შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში, წარმოადგენს საკვანძო, რიგ შემთხვევაში აქამდე დაუმუშავებელი, აქტუაური საკითხების კვლევას ქართულ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებაში. გამოყენებულია სახელოვნებო მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საფუძვლად უდევს სპეციალურ სასწავლო კურსაც (მაგ., მხატვრობა და ფოტოგრაფია, როგორც უახლესი ქართული კონცეპტუალური ხელოვნება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სადოქტრო პროგრამის თვითშეფასება - სადოქტრო პროგრამა - სილაბუსები - შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან - სადისერტაციო ნაშრომები - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი დამსაქმებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათი მოლოდინი კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობისა და მოთხოვნების კუთხით შესაბამისობაშია პროგრამით წარმოდგენილ სასწავლო კურსებთან და კვლევის შედეგებთან. დამსაქებლების მიერ აღნიშნა და სტუდენტებთან ინტერვიუმაც ცხადყო, რომ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობამ უზრუნველყო კომპეტენციების იმგვარი დონის მიღწევა, რომ ისინი კონკურენტულნი არიან ქართულ ბაზარზე, ხოლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერნაციონალურმა აქტივობებმა მათი კომპეტენციები აამაღლა და გარკვეულწილად საერთაშორისო ბაზრის რელევანტური გახადა (დამსაქმებელთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთ, რომ სადოქტორო პროგრამის 9 სტუდენტი უკვე მუშაობს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრში, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სადოქტორო პროგრამა - სილაბუსები - კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები - შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან - შეხვედრა დამსაქმებლებთან - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სადოქტორო პროგრამის შინაარსი სრულად მოდის შესაბამისობაში დამსაქმებლების მოლოდინთან და კარგად ჩანს რაში აისახა დამსაქმებლების მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში. ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, როგორც პედაგოგები (მაგ., გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები). ასევე, სტუდენტთა გამოკითხვის გზით ფასდება სასწავლო პროცესის ეფექტურობა, ხოლო კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგებიდან რომელი კომპეტენციები აღმოჩნდა დასაქმების თვალსაზრისით პრიორიტეტული ან დამატებით რომელი კომპეტენციის გამომუშავებაა სასურველი. ამგვარი გამოკითხვის მექანიზმი უზრუნველყოფს საიმედო უკუკავშირს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების, შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები გამჭვირვალე და ნათელია: ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების თანახმად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შესაბამის სამეცნიერო თემატიკაზე რეფერატი/პრეზენტაცია, სავარაუდო ხელმძღვანელთან შეთანხმებული უნდა ჰქონდეს საკვლევი თემის მიზანშეწონილობა და რელევანტურობა; უნდა წარმოადგინოს პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა და სამეცნიერო ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი. სწავლის გაგრძელების მსურველმა, ასევე, უნდა წარმოადგინოს უცხო ენის B2 დონის

შესაბამისი სერტიფიკატი/ცნობა (თუ სწავლის წინა საფეხური აქვს გავლილი საზღვარგარეთ უცხოურ ენაზე, თავისუფლდება დამატებითი დოკუმენტებისგან) ან ჩააბაროს თსსა-ს მიერ ორგანიზებული გამოცდა.
დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელ პირობად დებულებით განსაზღვრულია 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში.
ბუნოდვანებას იწვევს სადოქტორო პროგრამაზე დაშვების პირობების ის პუნქტები (3.1/5.1), სადაც განმარტებულია, რომ *დოქტორანტურაში სწავლის უფლრბა აქვს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს* და დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის უნდა წარმოადგინოს *მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დანადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი.*“ პროგრამაზე მიღების ეს წინაპირობა ზოგადია და არ არის მითითებული, თუ რომელი მიმართულების/დარგის მაგისტრის კომპეტენციებია რელევანტური სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

დოქტორანტურაში მიღების პირობებში (4.1) განსაზღვრულია, რომ *დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში.* დოქტორანტურაში ჩარიცხვის სავალდებულო მოთხოვნებში (5.1) მეორდება 3 წლის სამუშაო გამოცდილება და ხდება დაზუსტება, რომ უპირატესობა მიენიჭება სამუშაო გამოცდილებას შესაბამის დარგში. ერთსა და იმავე საკითხზე ორგვარი, შეუსაბამო მოთხოვნა ერთგვარ ბუნდოვანებას ქმნის.

სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში, რა თქმა უნდა, ზოგადად, ხელს უწყობს მომავალ დოქტორანტებს საკვლევი თემის ზუსტ გასნაზღვრასა და კვლევის პროცესისთვის მომზადებაში, მაგრამ, ამავდროულად, ბარიერს უქმნის სწავლის გაგრძელების მსურველთ, რომელთაც მაგისტრატურის საფეხური გაიარეს (სამუშაო გამოცდილება კი მოთხოვნილ სამ წელზე ნაკლებია) და აქვთ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძლების მზაობა. მით უფრო, რომ არ არის დაკონკრეტებული მაგისტრის კვალიფიკაცია. შესაძლებელია აუცილებელი სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობის შემცირება არაუმცირეს 1 წლისა.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზვრისას შეიძლება სხვადასხვა მიდგომა არსებობდეს:
ა) წინაპირობად რელევანტური კვალიფიკაციის სამაგისტრო დიპლომის დაკონკრეტება;
ბ) გამოცდა/ტესტირება (გამოცდა/ტესტის საკითხები განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე), რაც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს, გამოავლინოს საკუთარი კომპეტენციები, აუცილებელი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ასათვისებლად და სადოქტორო ნაშრომის შესასრულებლად, ანუ რეალურად მნიშვნელოვანი - ახალი ცოდნის შესაქმნელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა რესტავრაციია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიისფაკულტეტის

სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება - სადოქტორო პროგრამა - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა იყოს დაკონკრეტებული რელევანტური კვალიფიკაციის სამაგისტრო დიპლომის მოთხოვნით ან/და სპეციალური გამოცდა/ტესტირების საშუალებით. 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაძლებელია შეიცვალოს არაუმცირეს 1 წლის სტაჟით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები ემთხვევა მიღებულ სტანდარტებს: *„სადოქტორო პროგრამის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნება ლექციის, სემინარის, კოლოკვიუმის, აგრეთვე პედაგოგიური პრაქტიკის ფორმატი. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია ემყარება როგორც ცალკეული მეთოდების გამოყენებას, აგრეთვე მათ შერწყმას, კონკრეტული სასწავლო დისციპლინის ან პრობლემის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კომპონენტის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მეთოდს წარმოადგენს ანალიზის მეთოდი, რომელი ცგამოიყენება სასწავლო და კვლევით კომპონენტთა განხორციელებისას.* *კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შეირჩევა საკვლევი პრობლემატიკის ადექვატური კვლევის მეთოდი/მეთოდები, ხოლო კვლევის შედეგების პრეზენტაციისას ფასდება მისი გამოყენების ეფექტურობა.“*

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის დამადასტურებელია საკვალიფიკაციო ნაშრომების ხარისხი და კურსდამთარებულთა პროფესიული მიღწევები. *„დოქტორანტურაში სასწავლო პროცესი შედგება სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობისაგან. სააუდიტორიო მეცადინეობების პროცესში ჭარბობს სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მუშაობისათვის საათების მეტ რაოდენობას, სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის გამოყოფილ საათებთან შედარებით. პროგრამის სამეცნიერო - კვლევითი ნაწილი ითვალისწინებს სადისერტაციო თემაზე მუშაობას, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებას.“* საკონტაქტო და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა შეესაბამება დოქტორანტურის სასწავლო და სამეცნიერო ნაწილების თანაფარდობას, ხოლო კონკრეტული საგნის სააუდიტორიო და დამოუკიდებელი საათები შეესაბამება პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგის ურთიერთმიმართებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სადოქტორო პროგრამა, - სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება, - სილაბუსები - შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, -
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებილოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი ძირითადი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვებისათვის აუცილებელი ცოდნის მიღებას, ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობას. საბოლოო ჯამში ის ორიენტირებულია აუცილებელი ცოდნის მიღებასა და ზოგადი უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების თანმიმდევრობისა და სინთეზის საფუძველზე. სასწავლო კურსებს არ გააჩნია დაშვების წინაპირობა, თუმცა სპეციალობისა და ინტერდისციპლინური სემინარების თანმიმდევრობა იგეგმება დოქტორანტის სამეცნიერო ინტერესების და წინასწარ შედგენილი კვლევითი გეგმის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სადოქტორო პროგრამა - სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება - სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტთა სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- *(A)(ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;*
- *(B)ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;*
- *(C)კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;*
- *(D)დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;*
- *(E)საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.*

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- *(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება*
- *(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.*

რაც შეეხება პროგრამის კვლევით კომპონენტს, მისი შეფასების სისტემა ასევე შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ).

შეფასების მეთოდები და კომპონენტები აღწერილია თითოეული კურსის სილაბუსში. შეფასების მეთოდის არჩევა სასწავლო კურს, სემინარსა თუ კვლევით კომპონენტში ხდება წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სტუდენტის შეფასების მეთოდები, დარგის და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით არის შერჩეული, მრავალფეროვანია დადაკავშირებულია სწავლის შედეგების მიღწევასთან.

აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი - *სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამიდან (სილაბუსიდან), საგნის პედაგოგისაგან ან პროგრამის ხელმძღვანელისგან.* - *მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტებს აქვთთსსა ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით.* - *შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ მათ საშუალებას მისცემთ გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მათ გამოსწორებაზე.* - სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებთან მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა ინდივიდუალური მუშაობაა, რაც სტუდენტებს ხელს უწყობს შეფასებისთანავე მიიღონ ინფორმაცია, გაიარონ კონსულტაცია პედაგოგთან და აღმოფხვრან ნაკლოვანებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება - სილაბუსები - ინტერვიუს შედეგები - თსსა ელექტრონული სისტემა www.emis.art.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობა შიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი - სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით (გვ. 11), სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ პროგრამას, სილაბუსებს, დაგეგმონ სასწავლო პროცესი საკუთარი სამუშაო გრაფიკისა და ინტერესების მიხედვით. დოქტორანტები კონსულტაციებს იღებენ არა მხოლოდ პედაგოგებისგან და ხელმძღვანელებისგან, არამედ ფაკულტეტის ადმინისტრაციისგანაც. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, თითოეულ სადოქტორო პროგრამას ჰყავს თავისი კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა დახმარებას და მხარდაჭერას სწავლის პერიოდში. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროსაც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კოორდინატორი ძალიან დიდ დახმარებას უწევს მათ, ნებისმიერ დროს

შეუძლიათ დაეკონტაქტონ და მიიღონ პასუხი მათთვის სასურველ კითხვაზე.

- სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მათ უნივერსიტეტთან ძლიერი მიკუთვნებულობის გრძნობა აკავშირებთ. მათი უმრავლესობა სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მათი არჩევანი დოქტორანტურის საფეხურზეც. იყო ერთეული შემთხვევა, როცა სტუდენტმა ჩააბარა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რამდენიმე სემესტრის შემდეგ კვლავ მობილობით გადმოვიდა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გამომდინარე იქიდან, რომ აქ სტუდენტები იღებდნენ და იღებენ განსხვავებულ მხარდაჭერას როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან.
- როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, პროგრამაზე მიღებისთვის დოქტორანტთა რაოდენობას ისინი საზღვრავენ იმის მიხევდით თუ რა დრო ეხარჯება თითოეულ ხელმძღვანელს დოქტორანტთან მუშაობისას. უნივერსიტეტის პოლიტიკის მიხედვით, თითოეულ ხელმძღვანელს არ უნდა ჰყავდეს სამზე მეტი დოქტორანტი. ამ რაოდენობის ცვლილებაზე არ ახდენს გავლენას დოქტორანტების მიერ სტატუსის შეჩერება.
- დოქტორანტებისათვის შექმნილია კონსულტაციების განრიგი, რომელიც გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. მათი განცხადებით ისინი ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებენ ინდივიდუალურ გეგმას, თუმცა კონსულტაციები და შეხვედრების რაოდენობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალურად დადგენილი წესით. დოქტორანტების თქმით, შეხვედრები და კონსულტაციები დამოკიდებულია მათ ინტერესებსა და საჭიროებაზე. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა დიდწილად დამოკიდებულია რუსთაველის ფონდის გრანტებზე, სტუდენტები ხშირად იღებენ მონაწილეობას კონკურსში და ამ დროს მათ დახმარებას უწევს როგორც ხელმძღვანელი, ისე უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეული.
- დოქტორატებმა და სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ კონსულტაციები მიმდინარეობს რეგულარულად, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად ხორციელდება ონლაინ კონსულტაციებიც. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით (გვ.4), კონსულტაციების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ ოთხისა წელიწადში.
- სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფიდან, სადაც მათი თქმით თავსდება უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა სიახლე. აქვე უნივერსიტეტი აქვეყნებს სიახლეებს კონფერენციების, გაცვლითი პროექტებისა და სხვა აქტივობების შესახებ. ასევე მოქმედებს SMS სისტემა. თითოეულ სტუდენტს ტელეფონზე მისდის შეტყობინება სიახლეების შესახებ. თუმცა უნივერსიტეტი სტუდენტთა ინფორმირებულობისთვის იყენებს უფრო ფორმალურ საშუალებებსაც - ელ. ფოსტას და უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემას, სადაც ფაკულტეტის განცხადებით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას

ქულებისა და საგნების შესახებ. როგორც სტუდენტებთან საუბრისას გამოვლინდა, ყველაზე მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი მაინც სოციალური ქსელია.

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმაციით, ისინი აქტიურად მუშაობენ სტუდენტებთან სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით. რამდენიმე თვის წინ დოქტორატებთან ჩაატარეს მრგვალი მაგიდა, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი მოლოდინი და შეთავაზებები გამოეხატათ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განცხადებით, ეს შეხვედრები და ხარისხის სამსახურის პერიოდული კვლევები ძალიან ეხმარება ადმინისტრაციას პროგრამის გაუმჯობესებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები,
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახლობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით (გვ.12), თსსა აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, თითოეულ სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია პერსონალის შესახებ და სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს შეხვედრა ან ონლაინ-კონსულტაცია. კონსულტაციები მოიცავს როგორც სწავლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, ასევე, კვლევითი პროექტების განხორციელების საკითხებს. სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან კონსულტაციების შესახებ და ამ მხრივ პრობლემა არ შექმნიათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში, - ინტერვიუების შედეგები - კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების მიხედვით (გვ. 13) სადოქტორო პროგრამის უპირატესობა ორიენტირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე, რასაც გარდა კონკრეტული სასწავლო კურსებისა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობაში, როგორიცაა, მაგალითად, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. დოქტორანტები ჩართულნი არიან კვლევით პროექტებში, რომელთა მიზანია სამეცნიერო გრანტების მოპოვება.
- სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მრავალგზის აღინიშნა თუ რა დიდ დახმარებას და ხელშეწყობას იღებენ სტუდენტები რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან. ხოლო ამ ყველაფერში მათ ხელს უწყობს უნივერსიტეტი. ერთ-ერთმა სტუდენტმა დაასახელა, ფაქტი, როცა ერთ-ერთ წელს აკადემიის ვერც ერთმა აპლიკანტმა ვერ მიიღო გრანტი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ამას მოჰყვა სერიოზული ნაბიჯები. კვლევით პროექტებში მონაწილეობა დადასტურდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროსაც.
- შოთა რუსთაველის სამეცნიერო გრანტის გარდა, სტუდენტები ასევე, სხვა ორგანიზაციის გრანტებსაც მოიპოვებენ.
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ისინი საკმაოდ დამოუკიდებლები არიან სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების მოძიებასა და განხორციელებაში.
- თუმცა როგორც დაწესებულება აღნიშნავს, პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი სუსტი მხარე მისი ფინანსური უზრუნველყოფაა. ეს სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა. მათი თქმით აკადემია ფინანსურად უფრო აქტიურად, რომ ეხმარებდეს სტუდენტებს სხვადასხვა კვლევითი აქტივობის განხორციელებაში (მხოლოდ რუსთაველის სამეცნიერო გრანტზე, რომ არ იყვნენ დამოკიდებულნი) კარგი იქნებოდა.
- კურსდამთავრებულებთან საუბრისას დადასტურდა იგივე. აღინიშნა ისიც, რომ იყო შემთხვევები როცა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებსაც არა მხოლოდ რუსთაველის სამეცნიერო გრანტიდან, არამედ სხვა გრანტებითაც უსარგებლიათ. ასე მაგალითად, აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, აკადემიის კურსდამთავრებულმა გადათარგმნა წიგნი და გამოსცა. ამ პროექტში, თანადაფინანსება ჰქონდა აკადემიასაც.
- სტუდენტები იღებენ მონაწილეობას აკადემიის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და გამოვლინდა ერთეული შემთხვევებიც როცა მათ მიიღეს მონაწილეობა საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციაში. თუმცა ამ შემთხვევაში დამფინანსებელი - დონორი ან სხვა ორგანიზაცია იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში,
- ინტერვიუების შედეგები,

- გამოცემები
- გრანტის ფარგლებში გამოცემული წიგნები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამას რეალურად გააჩნია ძალიან დიდი ადამიანური პოტენციალი იმისთვის, რომ განვითარდეს. ბევრი სტუდენტი დამოუკიდებულად მოიძიებს და ახორციელებს საინტერესო გრანტებს, რომლის ფარგლებშიც, ისინი აკეთებენ ისეთ აქტივობებს, რომელიც უნივერსიტეტმა შესაძლებელია გამოიყენოს პროგრამის პოპულარიზაციისთვის, იგივე წიგნის გამოცემა, რომელიც საკმაოდ კარგი საშუალებაა პროგრამის პოპულარიზაციისთვის. პროგრამას გააჩნია სხვადასხვა მიმართულება, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სწორად შერჩეული მარკეტინგული ნაბიჯების საშუალებით შესაძლებელია გახდეს პროგრამის განვითარების ახალი შესაძლებლობა და დამატებითი დაფინანსების წყარო.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით (გვ. 13-14), სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით თსსა ხელს უწყობს დოქტორანტთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში. ფაკულტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით იმართება კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ უცხოელი პროფესორები, ამავე კონფერენციებში

	მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუდენტებსაც. ანგარიშში წერია, რომ პროგრამა ორიენტირებულია საზღვარგარეთის ამავე პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე, ამ მიზნით გაფორმებულია მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც ხდება უცხოელი პროფესორების მოწვევა. მიმდინარე წლებში ჩატარდა მრავალი საერთაშორისო სესია, კონფერენცია, ვორქშოფი და საჯარო ლექცია. - პროგრამის 2013 წლის აკრედიტაციის დასკვნის მიხედვით, პროგრამის ინტერნაციონალიზაცია (მობილობების, ერთობლივი პროექტების ან პროგრამებისკუთხით) პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იყო. 2014-2017 წლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, თსსა-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ფაკულტეტის ადმინისტრაციის თქმით, ამჟამადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვარგარეთის სხვადასხვა დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმებაზე და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე. - თუმცა როგორც სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა ინტერნაციონალიზაცია მაინც რჩება ერთ-ერთ გასავითარებელი მიმართულებად. გამოვლინდა ერთეული შემთხვევა, როცა დოქტორანტებს ჰქონდათ შესაძლებლობა წასულიყვნენ საზღვარგარეთ და დასწრებოდნენ ვორქშოფს ან კონფერენციას, ამ შემთხვევაშიც, ეს თავად სტუდენტების მიერ მოძიებული თანხებისა და ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. კითხვაზე რას გააუმჯობესებდნენ აკადემიაში, ერთ-ერთი პასუხი სწორედ გაცვლითი პროგრამებისა და მობილობების მიმართულებით იყო. - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახლობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით (გვ. 6), სადოქტორო პროგრამაზე სწავლების პერიოდში, დოქტორანტს ევალება დისერტაციის დაცვამდე ერთი სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში ან/და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. განსაზღვრულია სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალები, რომლებიც შესულია სამეცნიერო გამოცემების ბაზებში და, ასევე, ქართული რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალი (მარეგულირებელი დოკუმენტები - დანართი 16) - - დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მნიშვნელოვან სვლებს ახორციელებს ამ მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახლობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, - თვითშეფასების ანგარიში, - 2013 წლის აკრედიტაციის დასკვნა, - ინტერვიუს შედეგები,

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან.
რეკომენდაციები: აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ იზრუნოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარებისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო მობილობის მიმართულებით. უნივერსიტეტს, მემორანდუმების და ინტერვიუების მიხედვით, ჰყავს ბევრი ევროპელი პარტნიორი ორგანიზაცია, მათთან ერთად შეიძლება დაიგეგმოს, მაგ., Credit Mobility-ების განხორციელება, რაც გაზრდის პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დასაქმების ინტერნაციონალიზაციას. ასევე, მემორანდუმების ფარგლებში, უნივერსიტეტს შეუძლია ერთობლივი პროგრამების განხორციელება. მით უმეტეს, რომ პროგრამას საჯარო ლექციებით ისედაც ბევრი უცხოელი სტუმარი ჩამოსდის ხოლმე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის სტუდენტთა წახალისების მიზნით, უნივერსიტეტმა შესაძლებელია გამოიყენოს ის ერთეული შემთხვევები, როცა რამდენიმე სტუდენტმა თავად მოიპოვა გრანტი და გაიმარჯვა კონკურსში და რაღაც დროის განმავლობაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ ან მონაწილეობდა კონფერენციაში. ეს გაზრდის საზღვარგარეთი გამოცდილების შეძენის მოტივაციას მათშიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

მუშაობა			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსა-ის და კერძოდ, ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით და სხვა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვით. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საპრეზენტაციო დარბაზი, ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, საბიბლიოთეკო ფონდები, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული ბაზებით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნებს; რესურსების განვითარება/განახლება მუდმივია (ყოველწლიური), რაც განპირობებულია პროფესიული (დარგობრივი) აუცილებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ადგილზე გადამოწმება, - სადოქტორო პროგრამა, - ვიზუალური დათვალიერება, - თვითშეფასების ანგარიში, - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კონფერენციებში მონაწილეობით, პრაქტიკული პროექტებით და პუბლიკაციებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების მიერ შემუშავდა სამწლიანი სამეცნიერო პროექტი, რომელიც რუსთაველის ფონდშია წარდგენილი ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად. პროექტის განხორციელებაში ჩართული იქნებიან პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 მოწვეული პროფესორი და 1 მოწვეული პედაგოგი. პროგრამაზე 11 სტუდენტია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - აკადემიური პერსონალის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პირობები და ოქმები, - აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები და პირადი საქმეები, - აკადემიური პერსონალის პუბლიკაციები, - სამეცნიერო პროექტის დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე, კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის კოორდინატორი, ფაკულტეტის საბიბლიოთეკო ფონდის პასუხისმგებელი პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თსსა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე აყვანის ხელშეკრულებები - თანამშრომელთა პირადი საქმეები, - თსსა საშტატო განრიგი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა და ფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებისათვის გამოიყენება თანამედროვე სპეციალური ლიტერატურა, რომლის ფონდიც ყოველწლიურად ახლდება. სასწავლო მასალებში განიხილება სფეროს განვითარების თანამედროვე მიდგომები და ტენდენციები. თსსა-ს აქვს გაფორმებული ხელშეკრულება გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრთან ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ. ამასთან, თსსა ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელებში -„ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - elFL“ და წვდომა აქვს ისეთ ელექტრონულ რესურსებზე როგორიცაა Grove Art Online, Cambridge Journals Online და სხვა, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და სამეცნიერო პერიოდიკა. ამავე დროს, ეს საშუალებას აძლევს თსსა აკადემიურ პერსონალს და პროგრამის სტუდენტებს ელექტრონულ პერიოდულ გამოცემებში განათავსონ საკუთარი კვლევები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გეგმიურად ახლდება პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ მოთხოვნილი უახლესი გამოცემებით. პერსონალის გამოკითხვის საფუძველზე იგეგმება ასევე სამომავლო შესყიდვების ნუსხა.

თსსა ახორციელებს მთარგმნელობით პროექტებს და გამოსცემს სამეცნიერო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოში შეერთებული შტატების საელჩოს მთარგმნელობითი პროექტების პროგრამის თანადაფინანსებით თარგმნილი და გამოცემული მსოფლიო ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის განხორციელებაშიც პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ პროგრამის კურსდამტავრებულებიც.

სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრულია თითოეული დოქტორანტის ვალდებულება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ გამოსაცემად მოამზადოს მონოგრაფია. ფაკულტეტი აფინანსებს ამ გამოცემებს, მონოგრაფიები იბეჭდება თსსა სამეცნიერო კვლევების გრიფით, რაც უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურისთ სარგებლობის საშუალებას აძლევს თსსა სტუდენტებს.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება პედაგოგების მიერ მიწოდებული ელექტრონული რესურსების განთავსება მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა საბიბლიოთეკო ფონდი და ხელშეკრულებები,

- ბიბლიოთეკის კატალოგი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება პედაგოგების მიერ მიწოდებული ელექტრონული რესურსების განთავსება მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

როგორც აღინიშნა, სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრულია თითოეული დოქტორანტის ვალდებულება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ გამოსაცემად მოამზადოს მონოგრაფია. ფაკულტეტი მნიშვნელოვანწილად აფინანსებს ამ გამოცემებს, მონოგრაფიები იბეჭდება თსსა სამეცნიერო კვლევების გრიფით, რაც უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობის საშუალებას აძლევს თსსა სტუდენტებს. შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ აღნიშნული გამოცემების დაფინანსება საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსსა და ფაკულტეტის ბიუჯეტების ფარგლებში. თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ფინანსური მენეჯმენტის ახალი წესი, რომელიც ე.წ. per capital პრინციპს ეფუძნება. ამ წესის შესაბამისად განისაზღვრა ფაკულტეტების ბიუჯეტების ფორმირების წესიც, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ თავად დაგეგმონ და განკარგონ საკუთარი ბიუჯეტი. ამჟამად სადოქტორო პროგრამების ფინანსური

მენეჯმენტის თვალსაზრისით მოქმედებს ერთიანი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები იხდიან მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით. ამდენად, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ეფუძნება სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ გადახდილ საფასურს და ფაკულტეტის ბიუჯეტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თსსა ბიუჯეტი - თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ბიუჯეტი - ფაკულტეტების ბიუჯეტის ფორმირების წესი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): თსსა სადოქტორო პროგრამების ფინანსური მენეჯმენტის ერთიანი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები იხდიან მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლები სრესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს თითოეული ფაკულტეტის ანალოგიურ სამსახურთან. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მთავარი პრინციპია "დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე - განავითარე" ციკლის განხორციელება, რომლის უზრუნველსაყოფადაც სამსახურს მკაფიოდ აქვს გაწერილი შესაბამისი ფუნქციები. თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს კონტროლი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სასწავლო პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებს და მეთოდებს, პასუხისმგებელია ამ პროცესის წარმართვასა და მონიტორინგზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შეფასების შემდეგ მექანიზმებს: ფაკულტეტის თვითშეფასება; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები; მიზანმიმართული კვლევა; პროგრამის შეფასების კრიტერიუმები. აკადემიაში ხარისხის მართვის შიდა შეფასების მექანიზმები წარმოდგენილია სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტების სახით, რომელებიც განთავსებულია ვებგვერდზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი აქტივობაა სტუდენტთა პერმანენტული გამოკითხვები. პროგრამის განვითარების თვალსაზრისით იგეგმება ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები. თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, შესაბამის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება. **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი ამოცანებია:** · უნივერსიტეტის დახმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; · უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პერიოდული შეფასება, მონიტორინგი და შედეგების ანალიზი საქმიანობის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით; · უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის განვითარების ხელშეწყობა. **ხარისხისუზრუნველყოფისსისტემისსტრუქტურა** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი

უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირებისა და კონტროლის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, აგრეთვე, ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტითავის საქმიანობაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება(Planning, Implementing, Checking and Improving-PICI). შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება უნივერსიტეტის ოფიციალური სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა თუ ინიციატივა ამ მიმართულებით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და მონიტორინგს და იღებს შესაბამისს ზომებს. ეს დადასტურდა როგორც პერსონალთან, ისე სტუდენტებთან ინტერვიუს დროს. მათ მოიყვანეს რამდენიმე მაგალითიც კი, როცა გამოკითხვის ანალიზს მოჰყვა შესაბამისი შედეგები უნივერსიტეტის მხრიდან (მაგ., შეიცვალა ერთ-ერთი სასწავლო კურსის ლექტორი, შემცირდა კურიკულუმში სემინარების რაოდენობა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, - საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსის შემოწმების ფორმები, - თსსა აკადემიური საბჭოს სხდომების ოქმები, - ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები, - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ფაკულტეტის თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია პროგრამის მოდიფიცირება, სასწავლო პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად აკადემიაში მოქმედებს შიდა შეფასების შემდეგი მექანიზმები: პროგრამების და სასწავლო კურსების პროგრამების შეფასება სპეციალური ფორმების მეშვეობით, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიში. გამოკითხვების შედეგების ანალიზზე ხდება პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, კორექტირება ან მოდიფიცირება, ასევე, შესაძლებელია კორექტივების შეტანა პროგრამის ორგანიზების საკითხებში, სასწავლო პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვა და სწავლის შედეგების შეფასება. ასე მაგალითად, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, განხორციელდა რიგი ცვლილებები დაკავშირებული როგორც პროგრამის სასწავლო კურსთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან (მაგ., შეიცვალა ერთ-ერთი სასწავლო კურსის ლექტორი, შემცირდა კურიკულუმში სემინარების რაოდენობა).

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, რომლებსაც წარმატებული პრაქტიკული კარიერა აქვთ, აგრძელებენ სწავლას სადოქტორო საფეხურზე, რათა თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება მეცნიერული კვლევით გააღრონ, ან გააგრძელონ აკადემიური კარიერა.

გარეშეფასების მექანიზმს პროგრამების თვითშეფასების და აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება წარმოადგენს, ექსპერტთა რეკომენდაციების განხილვა და განხორციელება ამ შეფასების გათვალისწინების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები.
-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ დაირთავს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სადოქტორო პროგრამა: სახელოვნებათმცოდნეო კვლევები - პროგრამული კონცენტრაციები: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

43 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა: სახელოვნებათმცოდნეო კვლევები - პროგრამული კონცენტრაციები: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
5. სწავლების ხარისხი სგანვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: